№ბ-310543|12

"19" 09 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ (საკ. კოდი №01.14.15.001.260) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2730359 22.07.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადი "9-1": +0.00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტები და ნაწილობრივ ნახატები, ასევე სადარბაზოში შესასვლელი კარის სიმაღლე და ნახატი.
ფასადი "დ-ა": შეცვლილია ფანჯრების მდებარეობა და გაბარიტი. +0.00 ნიშნულის ქვევით ფასადი შესაღებია.
ფასადი "1-9": -4.50 ნიშნულზე შეცვლილია ღიობების რაოდენობა. +23.20 ნიშნულზე "5-6" მონაკვეთში გაუქმებულია აივნის გამყოფი ტიხარი, ხოლო +36.00 ნიშნულზე გაზრდილია ტიხრის სიმაღლე, იგივე ნიშნულზე "5-5" ღერთან მოწყობილია ბუხარი. ფასადზე დამატებით მოწყობილია სატელიტური ანტენები, კონდიციონერები, გამათბობლის ქვაბები და კარადები.
ფასადი "ა-დ": დამატებით მოწყობილია ცოკოლის ნაშვერი.
-4.50 ნიშნულზე: შეცვლილია პანდუსის გაბარიტები. "6-6" ღერძის მარცხნივ მონოლითურ კედელში მოწყობილია ღიობი. "8-8" ღერძზე შეცვლილია კოლონისა და რიგელის, ხოლო "8-9" მონაკვეთში კოლონისა და კედლების ურთიერთმდებარეობა.
+0.00 ნიშნულზე: "8-9" და "გ-დ" მონაკვეთებში დამატებით მოწყობილია ღიობი. "დ-დ" ღერძის გარეთ "3-7" მონაკვეთში შეცვლილია ფილის გაბარიტი. "5-6" მონაკვეთში შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა. "4-4" ღერძზე კოლონა ამოჩარჩოებულია და გაზრდილია მისი კვეთი.
+39.40 ნიშნულზე: "4-4" და "დ-დ" ღერძების კვეთებთან სავენტილაციო შახტა მობრუნებულია.

შეცვლილია მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრების ფერი. ბიენ-ბზე ნაწილობრივ შესავსებია კარების ძირები. შეცვლილია რელიეფის ნიშნული, რიხ გამო ნაწილობრივ ჩანს ცოკოლის კედლები არმატურის ნაშვერებით, აღნიშნული კედლები მოსაპირკეთებელია.
შენობა "9-9" ღერძთან: +1.23 ნიშნულზე შეცვლილია კიბის დიდების გაბარიტი. ფასადი "ა-დ": შეცვლილია გადახურვის მოპირკეთების სიმაღლე. +0.00 ნიშნულის ქვევით

გაუქმებულია მოაჯირი. ფასადი "დ-ა", "9-9" ღერძზე: დამატებით მოწყობილია კონდიციონერები. ფასადი "10-9' ": დამატებით მოწყობილია სარეკლამო წარწერა.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ნიუ დეველოპმენტ გრუპ"-ს, ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ნუცუბიძე ლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ (საკ. კოდი №01.14.15.001.260) მდებარ ნებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტ აში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №310543/12 01.09.2016წ. განცხადება.
№წ-310543/12 07.09.2016წ. ბრძანება.